

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ 2017 წლის განმავლობაში განსახორციელებელ მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო პროგრამების ჩატარების განრიგის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2009 წლის 25 თებერვლის №59 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის „ი“ და „ლ” პუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ 2017 წლის განმავლობაში განსახორციელებელ მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო პროგრამების ჩატარების განრიგი თანდართული დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს საქმისწარმოების სპეციალისტს - **მაია ჯანგირაშვილს** წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.
3. ბრძანება ძალაშია ხელისმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქ. №3) ან/და გარდაბნის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. №14).

საფუძველი: სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორის - ნანა ბეჟუაშვილის 2017 წლის 13 იანვრის № MOC 3 17 00031044 მოხსენებითი ბარათი.

დირექტორი
ავთანდილ მიქანაძე